ვანიკო რამიშვილი

როცა ვანიკო რამიშვილის დაღუპვის ამბავი შევიტყვე, ერთ წამში, ერთბაშად, დამეუფლა განცდა სიცარიელისა, რომელსაც სხვა ვერავინ, იმის გარდა ვინც დაიღუპა, ვერ ამოავსებს. პიროვნება განუმეორებელია და მისი საქმეც განუმეორებელია, მხოლოდ მისი აღსასრულებელია. წამიერად აღმიდგა გონებაში ამ თავზარდამცემი ამბის მოსმენისას უკანასკნელი ჩვენი შეხვედრა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში, სადაც არაერთხელ გვისაუბრნია მის მომავალ გამგზავრებაზე გერმანიაში სასწავლებლად. გასულ წელს ის ფრთხილობდა, არცთუ უსაფუძვლოდ, არ უნდოდა ბევრისთვის გაემხილა თავისი სამომავლო გეგმები, ვაითუ არაკეთIლმოსურნეთა მეცადინეობით ჩაშლოდა. ტაქტიანად შემახსენებდა ხოლმე, სიტყვის ერთგული ვყოფილიყავი. რა შ იძლება ყოფილიყო იმაზე უფრო სასიხარულო და საამაყო პედაგოგისათვის, ვიდრე საიდუმლოს განდობაა თუნდაც ყოფილი სტუდენტისაგან, რომელთანაც არცთუ შორეულ ჰორიზონტზე მეგობრობის შესაძლებლობა ისახებოდა. სწრაფად, როგორც გაირბინა იმ ხუთმა წელმა, როგორც ახლა ელვის უსწრაფესად, გარბის ჩვენთვის, გაივლიდა გერმანიაში განსწავლის წლები, და დაბრუნდებოდა ვანიკო, რომელსაც მისი თაობის ყმაწვილებთან ერთად, განსაკუთრებული მისია დააკისრა დროებამ. ტიუბინგენის უნივერსიტეტის სტიპენდიანტი, თეოლოგიის ფაკულტეტის მომავალი მსმენელი, ვანიკო რამიშვილი ერთი იმათგანი იყო, ვისაც თავისი სიტყვა უნდა ეთქვა ახალი საქართველოს სულიერ-კულტურულ აღმშენებლლობაში. მის პიროვნებაში ვხედავდი იმ ოცნებათა აღსრულებას, რაზეც ფიქრიც კი ამაოდ მიაჩნდა ორმოცდაათიანი წლების უნივერსიტეტის სტუდენტს. მას ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ დაბრუნებულიყო ახალი სიტყვით, ახალი ხმით, შემოეტანა ახალი სიო მრავლისმომლოდინე ჩვენს უნივერსიტეტში: ჩინებული აღზრდა ოჯახში, რომელიც ინტელექტუალური შრომის რამდენიმე თაობას ითვლის და საფუძვლიანი განსწავლა უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის განხრით, ევროპული ენების პრაქტიკული ცოდნა, ცოდნის წყურვილი, სიბეჯითე არაორდინარულ ბუნებრივ ნიჭთან ერთად, ინტერესთა ფართო სფერო მძაფრად გამოხატულ ჰუმანიტარულ მიდრეკილებებთან ერთად, არანაკლებ მძაფრი გატაცება უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, რომელსაც ის ფლობდა როგორც პროფესიონალი, სულიერი სისპეტაკე, კეთილშობილება, რაღაც სასწაულებრივად რომ გამოანათებს ხოლმე ამ ჩვენს დუხჭირ წუთისოფელში, ჩვენს ბედკრულ ყოფაში, და იმედები, რომელთაც განიცდიდა ის თავის თავში და რომელთაც მასზე ვამყარებდით. და ეს ყველაფერი ერთ წამში დაამსხვრია უბედურმა შემთხვევამ. ყველაფერი შეწყდა დასაწყისში, ნახევარ ნაბიჯზე, ჯერ კიდევ ჯეჯილში. სიცოცხლე შეწყდა ცხოვრების დასაწყისში და ჩვენ რაღაც გამოუთქმელი და აუხსნელი საიდუმლოს წინაშე აღმოვჩნდით. ჩვენ ვერ შევეჩვიეთ ამ შ წყვეტას, თუმცა არაერთის მომსწრენი ვყოფილვართ – საიდუმლო საიდუმლოდ რჩება და მწარეა გულისტკივილი. რა დაგვიტოვა ჩვენ ვანიკომ იმ გზის ბოლომდე, რომელიც გასავლელი დაგვრჩა? მას ხომ თავისი შ მოქმედების შ დეგი არ უნახავს, გარდა კომპიუტერზე შესრულებული იმ სადიპლომო ნაშრომისა, დაუფარავი სიამაყით რომ ჩააბარა რეცენზენტს, რომელმაც ასევე დაუფარავი განცვიფრებით ჩამოართვა? – იმ დაუვიწყარი ელდის წამი ყოფიერების საიდუმლოს განცდაში და დაუამებელი გულისტკივილი?

სწავლის წლებში ის არ შეიძლება არ წაწყდომოდა ერთ ბერძნულ სტრიქონს, რომელიც იქნებ ზეპირადაც იცოდა – ეს ჰეგზამეტრული ბწკარი იმ შორეული ხანიდან გვანუგეშებს ჩვენ დღეს: hos joi theoi filousin apothneskei neos – ის, ვინც ღმერთებს უყვართ, ახალგაზრდა კვდება.

ზურაბ კიკნაძე
"თბილისის უნივერსიტეტი", 12 ივნისი, 1992 წელი